№270 2014 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

ზოგიერთ საჯარო დაწესებულებაში სამუშაო დროის შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ეკონომიკური საბჭოს აპარატში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრების აპარატებში, საქართველოს სამინისტროებში, მათ სისტემაში შემავალ დაწესებულებებში/ორგანოებში/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში - სამოქალაქო ოფისსა და სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (გარდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს: გენერალური ინსპექციისა, საგამოძიებო დეპარტამენტისა, სამედიცინო დეპარტამენტისა, სისტემის სამხედრო მოსამსახურეებისა, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და მის დაქვემ-

დებარებაში არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს - თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებისა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს: გენერალური ინსპექციისა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლებისა და სტრუქტურული ერთეულის - აღსრულების პოლიციის სამმართველოსი, საქართველოს პროკურატურისა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი იმ დანაყოფებისა, რომელთა უფლებამოსილებაშიც შედის ოპერატიულ-სამძებრო, საგამოძიებო, სადაზვერვო, კონტრდაზვერვითი, სახანძრო-სამაშველო, საბრძოლო, ობიექ-ტების/ტერიტორიის დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების, დროებითი დაკავების/მოთავსების, სამორიგეო, საექს-პერტო, საგანმანათლებლო, ფასიანი მომსახურების ან/და გარკვეული სპეციალური ფუნქციის განხორციელების სფეროში საქართველოს კანონ-მდებლობით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება; ასევე, საქარ-თველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა; საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისა/სტრუქტურული ქვედანაყოფებისა; აგ-რეთვე, იმ საჯარო მოსამსახურეებისა/პირებისა, რომელთათვისაც დაწე-სებულების სპეციფიკის გათვალისწინებით, დადგენილია განსხვავე-ბული სამუშაო დრო) სამუშაოს დაწყების დროდ განისაზღვროს 9:00 საათი, ხოლო დასრულების დროდ - 18:00 საათი, 1-საათიანი შესვენების დროის გათვალისწინებით.

2. ეთხოვოთ სახელმწიფო რწმუნებულებს - გუბერნატორებს, აღმას-რულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებულ/საქართველოს

მთავრობასა და პრემიერ-მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, რომლებიც ეწევიან კულტურულ, საგანმანა-თლებლო და რელიგიურ საქმიანობას), დაწესებულებაში სამუშაო დროის განსაზღვრისას, გაითვალისწინონ ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სამუშაო დრო.

3. ზემოაღნიშნულმა დაწესებულებებმა უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ამ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

4. ეს ბრძანება, გარდა მე-3 პუნქტისა, ძალაშია 2014 წლის 1 სექტემ-ბრიდან, ხოლო მე-3 პუნქტი - ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ღარიბაშვილი